ხელშეკრულება N09

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 10 იანვარი 2019წ.

ერთის მხრივ შპს „ჰერმესსა“ (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „კავკასი“ (შემგომში „მიმწოდებელი“) შორის.
იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე საამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის მიზნით (NAT180019481), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს სამუშაო შემსყიდველს შემდეგ თანხაზე: **17 293 ლარი დღგ–ს ჩათვლით.**

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - ხელშეკრულება) შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. შემსყიდველი ორგანიზაცია - ორგანიზაცია (დაწესებულება) რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. მიმწოდებელი - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. დღე, კვირა, თვე - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. სტანდარტები
2.1. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას, რომ მოწოდებული სამუშაოს შედეგად მიღებული პროდუქტი იქნება შესაბამისი ყველა მოქმედი თანამედროვე სამშენებლო სტანდარტებისა და ნორმებისა.
2.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ სამუშაოები იქნება უნაკლო (მოთხოვნილი სტანდარტების ფარგლებში), ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს მის დაუყოვნებლივ გამოსწორებას.
2.3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან **2 წლის** განმავლობაში შესრულებულ სამუშაოზე უნდა გავრცელდეს საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, გამოასწოროს აღმოჩენილი ხარვეზი. სამუშაო უნდა დაიწყოს მიმართვიდან დაუყოვნებლივ და უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
3.1. შემსყიდველს ან ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ მოწოდებული სამუშაო, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა.
3.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
3.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შ.პ.ს. „ჰერმესი“-ს დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში დავით გიორგიძე, ინფრასტრუქტურის განვითარების და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი მიხეილ ქმოსტელი, ინფრასტრუქტურის განვითარების და ლოჯისტიკის განყოფილების მთ. სპეციალისტი(ტექნიკური ზედამხედველი) ზაალ კუსრაშვილი.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტი (CPV45300000)

4.1. შესყიდვის ობიექტს (ხელშეკრულების საგანს) წარმოადგენს შპს "ჰერმესი"–ს მართვაში არსებული ვაკის საქალაქო სასაფლაოზე დასავლეთის მხარეს კაპიტალური ღობის სამუშაოები, დანართი N1-ის(ხარჯთაღრიცხვა) და სატენდერე დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რენდერების შესაბამისად.

მუხლი 5. სამუშაოს მიწოდების პირობები

5.1 სამუშაოს მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **45** კალენდარული დღის ვადაში.
5.2. მიწოდების ადგილია- ქ. თბილისი, ვაკის საქალაქო სასაფლაო.
5.3. სამუშაოების პროცესში გამოყენებული მასალის ფერი და სტრუქტურა უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სამუშაოს მიწოდებისა და შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 3.5. პუნქტში მითითებული პირები).
6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან, ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

მუხლი 7. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

7.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **17 293 ლარს დღგ–ს ჩათვლით.**
7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.3. ანგარიშსწორება მოხდება მომსახურების მიწოდებისა და მე-6 მუხლში გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში.
7.4. საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%, უპირობოდ გამოთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუმეტეს სამი სამუშაო დღე.

მუხლი 8. ფასები

8.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
8.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა,
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მულით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

მუხლი 11. სუბკონტრაქტორები

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთ სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.3. საჯარო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
13.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისფულებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახე აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდა;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი
14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდვლისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქტიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებთ და სხვა.
14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარე წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლებისაგან.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა
15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგავარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 16. შეტყობინება
16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებათი მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

18.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

18.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:
შ.პ.ს. ჰერმესი
საიდ. კოდი: 202888349
თბილისი, სოფ. დიღომი, მოციქულთა სწორი ნინოს ქ. N2ა
TBC Bank
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ა GE64TB 7341 0360 2010 0002
დირექტორი
ნოდარ რაზმაძე

Hermes LLC
Digitally signed by Hermes LLC
Date: 2019.01.10 16:53:37 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „კავკასი“
საიდ. კოდი: 4242534771
მის: ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ.#163. ბ.2
ბანკი: საქართველოს ბანკი
BAGAGE22
ა/ა GE34BG0000000100896591
დირექტორი
ცისანა კეღოშვილი

LTD kavkasi
Digitally signed by LTD kavkasi
Date: 2019.01.10 17:08:19 +04'00'

ვაკის საქალაქო სასაფლაოს დასავლეთ მხარეს ახალი კაპიტალური ღობის სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	სამუშაოთა დასახელება									
1	საპროექტო ღობის მთელ სიგრძეზე (112მ) არანაკლებ 0.5მ სიგანის და 0.4მ სიღრმის ტრანშეის გათხრა ასფალტის ზედაპირიანი საავტომობილო გზის კიდეზე, უახლოესი ბეტონის კედლებიდან არაუმეტეს 0.6 მეტრის დაშორებით.									
	–ასფალტობეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ3	5.60		0	5.00	28.00	8	44.8	72.80
	–გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ3	22.4		0	10.00	224.00		0	224.00
	–სამშენებლო ნარჩენების და გრუნტის გატანა ნაგავსაყრელზე	მ3	33		0		0.00	15	495	495.00
2	საპროექტო ღობის მთელ სიგრძეზე რკინაბეტონის ცოკოლის მოწყობა (110*0.4*0.8)	მ3	35.2		0	10.00	352.00		0	352.00
	–სამშენებლო ბეტონი	მ3	35.2	110.0	3872		0.00		0	3872.00
	–არმატურა (დ-12)	გრძ/მ	444	2.0	888		0.00		0	888.00
	–გლინულა (კატანკა)	ტ	0.02	2500.0	50		0.00		0	50.00
	–ხის მასალა	მ3	2.7	500.0	1350		0.00		0	1350.00

3	საპროექტო ღობის მთელს პერიმეტრზე ყოველ 2 მეტრში სამაგრი ბოძების მონტაჟი რკ/ბეტონის ცოკოლ'ში (113 ცალი)	ცალი	113		0	5.00	565.00		0	565.00	
	-- მილკვადრატი (არანაკლები 40*60), სიმაღლე-2.5მ,	გრძ.მ	283	4.5	1273.5		0.00		0	1273.50	
4	-- საპროექტო ღობის მონტაჟი ფურცლოვანი ფოლადის გამოყენებით (არანაკლები 1 მმ სისქით)	მ2	176	12.0	2112	4.00	704.00		0	2816.00	
					0		0.00		0	0.00	
5	ლითონის ღობის შეღებვა (დამკვეთთან შეთანხმებულ ფერებში)	მ2	176	2.0	352	2.00	352.00		0	704.00	
5	ტრანშეის დარჩენილი ნაწილების შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით	მ3	4.5	6.0	27	2.00	9.00	10	45	81.00	
6	შემასწორებელი ფენის მოწყობა წერილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტობეტონის ცხელი ნარევით (სისქით 4სმ+5სმ)	ტ	2.1	150.95	316.995	35.00	73.50	10	21	411.50	
	ჯამი				10241.50		2307.50		605.80	13154.80	
	ზედნადები %	4%								526.19	
	ჯამი									13680.99	
	გეგმიური —%	4%								547.24	
	ჯამი									14228.23	
	გაუთვალისწინებელი ხარჯები —%	3%								426.85	
	ჯამი									14655.07	
	დ.ღ.გ. 18%	18%								2637.91	
	ჯამი									17292.99	

შპს. ,,კავკასი"-ს დირექტორი:
/ც. კეღოშვილი/